საქართველოს მთავრობის
დადგენილება № ...
2019 წლის ....
ქ. თბილისი

,,გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 მაისის N337 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ,,გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 მაისის N337 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 08/05/2014, 360000000.10.003.017957) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების მე-2 მუხლი ამოღებულ იქნას.

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 1. ნორმატიული აქტები, რომელთა საფუძველზე და რომელთა შესასრულებლადაც შემუშავდა გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის წესი

გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის წესი (შემდგომში – წესი) შემუშავდა „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ამავე კანონითა და საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი სამართლებრივი ნორმების შესრულების მიზნით.“

3. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 2. რეგულირების საგანი

ეს წესი არეგულირებს გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენასთან, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრისათვის წარდგენასთან, ასევე, გამოქვეყნების გზით საზოგადოებისათვის

ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვასთან (შემდგომში - გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის სფერო) დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.“

4. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 3. კანონმდებლობა

საქართველოს კანონმდებლობა გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციის, ,,გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის (ორჰუსის კონვენცია), „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ წესისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.“

5. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) უზრუნველყოს სახელმწიფოს მიერ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი ადამიანის ძირითადი უფლება – დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ;“

ბ) მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრისათვის წარდგენის წესის განსაზღვრა;“

6. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის:

ა) ,,დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას;

ბ) ,,ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ე) სამინისტრო – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;”

7. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) დროულად მიიღონ სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ;“

8. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების გაცნობის გზით დროულად მიიღონ სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ;“

9. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,**მუხლი 11. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების სტრუქტურა**

გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება შედგება შემდეგი კარებისაგან:

ა) კარი I. გარემოზე მოქმედი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები;
ბ) კარი II. გარემოს შემადგენელი ძირითადი ელემენტები და მათი მდგომარეობა;
ვ) კარი III. სხვა გარემოსდაცვითი საკითხები და რისკები;
ზ) კარი IV. ეკონომიკის სექტორების ზემოქმედება გარემოზე;
თ) კარი V. გარემოსდაცვითი მმართველობა.“

10. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. გარემოზე მოქმედი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) ძირითადი კითხვები და გზავნილები;
ბ) მოსახლეობა და მისი დინამიკა;
გ) შინამეურნეობები;
დ) ეკონომიკა;
ე) ინფრასტრუქტურა;
ვ) ძირითადი გამოწვევები.“

11. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 14. ატმოსფერული ჰაერი

1. ატმოსფერული ჰაერი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) ძირითადი კითხვები და გზავნილები;

ბ) სახელმწიფო რეგულირება;

გ) ატმოსფერული ჰაერის ხარისხი საქართველოში;

დ) ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მიზეზები;

ე) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

გ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

დ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

ე) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

ვ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.”

12. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-15 მუხლი ამოღებულ იქნას.

13. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 16. წყლის რესურსები

1. წყლის რესურსები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) ძირითადი კითხვები და გზავნილები;

ბ) საქართველოს წყლის რესურსები;

გ) წყალმოხმარება;

დ) წყლის ხარისხი;

ე) რეაგირება.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
გ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

14. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-17-მე-19 მუხლები ამოღებულ იქნას.

15. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-20 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. მიწის რესურსები და ნიადაგები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) ძირითადი კითხვები და გზავნილები;
ბ) სახელმწიფო რეგულირება;
გ) მიწის რესურსების და ნიადაგის მდგომარეობა;
დ) ძირითადი გამოწვევები.“

ბ) მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას;

გ) მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,გ) საქართველოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.”

16. დადგენილებით დამტკიცებული წესის 21-ე მუხლი ამოღებულ იქნას.

17. დადგენილებით დამტკიცებული წესის 22-ე და 23-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 22. მინერალური რესურსები

1. მინერალური რესურსები მოიცავს შემდეგ საკითხებს:
ა) ძირითადი კითხვები და გზავნილები;
ბ) სახელმწიფო რეგულირება;
გ) მინერალური რესურსების მარაგი;
დ) მინერალური რესურსების მოპოვების ზემოქმედება გარემოზე;
ე) ძირითადი გამოწვევები.
2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:
ა) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

მუხლი 23. ბიომრავალფეროვნება

1. ბიომრავალფეროვნება მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) ძირითადი კითხვები და გზავნილები;

ბ) სახელმწიფო რეგულირება;

გ) არსებული მდგომარეობა:

გ.ა) სახეობები და ჰაბიტატები;

გ.ბ) ტყის ეკოსისტემები;

გ.გ) მტკნარი წყლისა და ჭარბტენიანი ეკოსისტემები;

გ.დ) ზურმუხტის ქსელი;

გ.ე) დაცული ტერიტორიები.

დ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური.“

18. დადგენილებით დამტკიცებული წესს დაემატოს შემდეგი შინაარსის 23^1 და 23^2 მუხლები:

,,მუხლი 23^1. კლიმატის ცვლილება

1. კლიმატის ცვლილება მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) ძირითადი კითხვები და გზავნილები;

ბ) კლიმატის ცვლილების მიზეზები და შედეგები;

გ) საერთაშორისო აქტივობები/ღონისძიებები კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ;

დ) კლიმატის ცვლილების გამოვლინება საქართველოში;

ე) საქართველოს წილი სათბურის აირების მსოფლიო ემისიებში;

ვ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

მუხლი 23^2. სტიქიური მოვლენები

1. სტიქიური მოვლენები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) ძირითადი კითხვები და გზავნილები;

ბ) სახელმწიფო რეგულირება;

გ) საქართველოში გავრცელებული სტიქიური მოვლენები:

გ.ა) სტიქიურ მოვლენათა სიხშირის ცვლილების დინამიკა;

გ.ბ) სტიქიური მოვლენების გახშირების მაპროვოცირებელი ფაქტორები.

გ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

გ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო."

19. დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლი ამოღებულ იქნას.

20. დადგენილებით დამტკიცებული წესის 25-ე-27-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 25. ნარჩენები

1. ნარჩენები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) ძირითადი კითხვები და გზავნილები;

ბ) სახელმწიფო რეგულირება;

გ) საქართველოში არსებული მდგომარეობა:

გ.ა) ნარჩენების წარმოქმნა;

გ.ბ) ნარჩენების გადამუშავება;

გ.გ) ნარჩენების გაუვნებელყოფა და განთავსება.

დ) ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურა;

ე) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;

გ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

დ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

მუხლი 26. ქიმიური ნივთიერებები

1. ქიმიური ნივთიერებები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) ძირითადი კითხვები და გზავნილები;

ბ) სახელმწიფო რეგულირება;

გ) არსებული მდგომარეობა;

დ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური;

ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

მუხლი 27. მაიონებელი გამოსხივება

1. მაიონებელი გამოსხივება მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) ძირითადი კითხვები და გზავნილები;

ბ) სახელმწიფო რეგულირება და კონტროლი;

გ) მაიონებელი გამოსხივების წყაროები:

გ.ა) მაიონებელი გამოსხივების ბუნებრივი წყაროები;

გ.ბ) მაიონებელი გამოსხივების ანთროპოგენული წყაროები.

დ) რადიაციული მონიტორინგი საქართველოში და მისი შედეგები;

ე) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

ბ) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.“

21. დადგენილებით დამტკიცებული წესს დაემატოს შემდეგი შინაარსის 27^1 მუხლი:

„მუხლი 27^1. ნადირობა და თევზჭერა

1. ნადირობა და თევზჭერა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) ძირითადი კითხვები და გზავნილები;

ბ) ნადირობა (სახელმწიფო რეგულირება, რესურსის მდგომარეობა, მოხმარება და მისი შედეგები);

გ) თევზჭერა (სახელმწიფო რეგულირება, რესურსის მდგომარეობა, მოხმარება და მისი შედეგები);

დ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.“

22. დადგენილებით დამტკიცებული წესის 28-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 28. სოფლის მეურნეობა და ტყითსარგებლობა

1. სოფლის მეურნეობა და ტყითსარგებლობა მოიცავს შემდეგ საკითხებს:
ა) ძირითადი კითხვები და გზავნილები;
ბ) სოფლის მეურნეობის მდგომარეობა და ზემოქმედება გარემოზე;
გ) ტყითსარგებლობის სექტორის მდგომარეობა და ზემოქმედება გარემოზე;
დ) ძირითადი გამოწვევები.
2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:
ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.“

23. დადგენილებით დამტკიცებული წესის 29-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ტრანსპორტი მოიცავს შემდეგ საკითხებს:
ა) ძირითადი კითხვები და გზავნილები;
ბ) ტრანსპორტის სექტორის მდგომარეობა;
გ) ტრანსპორტის სექტორის ზემოქმედება გარემოზე;
დ) ძირითადი გამოწვევები.“

24. დადგენილებით დამტკიცებული წესის 30-ე-33-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 30. მრეწველობა და ენერგეტიკა

1. მრეწველობა და ენერგეტიკა მოიცავს შემდეგ საკითხებს:
ა) ძირითადი კითხვები და გზავნილები;
ბ) მრეწველობის მდგომარეობა და ზემოქმედება გარემოზე;
გ) ენერგეტიკის მდგომარეობა და ზემოქმედება გარემოზე;
დ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

მუხლი 31. გარემოსდაცვითი პოლიტიკა და დაგეგმვა

1. გარემოსდაცვითი პოლიტიკა და დაგეგმვა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) ძირითადი კითხვები და გზავნილები;

ბ) გარემოსდაცვითი პოლიტიკის ინსტიტუციური ჩარჩო;

გ) გარემოს დაცვის პოლიტიკის დაგეგმვა;

დ) ევროინტეგრაციის პროცესი;

ე) გარემოს დაცვის პოლიტიკის შეფასება;

ვ) გარემოს დაცვის დაფინანსება;

ზ) საერთაშორისო თანამშრომლობა.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

მუხლი 32. გარემოსდაცვითი რეგულირება და კონტროლი

1. გარემოსდაცვითი რეგულირება და კონტროლი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) ძირითადი კითხვები და გზავნილები;

ბ) ლიცენზიები;

გ) ნებართვები და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება;

დ) გარემოსდაცვითი რეგლამენტები და წესები;

ე) გარემოსდაცვითი კონტროლი;

ვ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

მუხლი 33. გარემოსდაცვითი კვლევები, განათლება და ცნობიერების ამაღლება

1. გარემოსდაცვითი კვლევები, განათლება და ცნობიერების ამაღლება მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) ძირითადი კითხვები და გზავნილები;

ბ) გარემოსდაცვითი განათლება და ცნობიერების ამაღლება;

გ) გარემოსდაცვითი კვლევები;

დ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

25. დადგენილებით დამტკიცებული წესის VI თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების სტატუსი და შედგენის, გამოქვეყნების და გავრცელების პროცედურები“.

26. დადგენილებით დამტკიცებული წესის 34-ე და 35-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 34. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების სტატუსი

გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ასახავს ქვეყანაში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მდგომარეობას.

მუხლი 35. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენისათვის პასუხისმგებელი ორგანო და შედგენის პერიოდულობა

გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენისათვის პასუხისმგებელი ორგანოა სამინისტრო, რომელიც ამზადებს მოხსენებას 4 წელიწადში ერთხელ საზოგადოების ინფორმირების მიზნით.“

27. დადგენილებით დამტკიცებული წესის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. გადაწყვეტილებას ექსპერტებისა და ორგანიზაციების მოწვევის შესახებ იღებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი.”

28. დადგენილებით დამტკიცებული წესის 43-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 43. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრისათვის გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების პროექტის წარდგენის ვადა და გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების გამოქვეყნება

1. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების პროექტი თანხმდება დაინტერესებულ სამინისტროებთან, სხვა უწყებებთან და 4 წელიწადში ერთხელ დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს.

2. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების დამტკიცების თაობაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება და გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების სრული ტექსტი ექვემდებარება გამოქვეყნებას.“

29. დადგენილებით დამტკიცებული წესს დაემატოს შემდეგი შინაარსის 43^1 და 43^2 მუხლები:

,,მუხლი 43^1. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების გავრცელება

1. მოხსენების გამოქვეყნებას და გავრცელებას უზრუნველყოფს სამინისტრო.
2. მოხსენების გავრცელება ხდება უსასყიდლოდ.

მუხლი 43^2. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების გამოქვეყნებისა და გავრცელების დაფინანსება

მოხსენების გამოქვეყნებასა და გავრცელებასთან დაკავშირებული ხარჯები ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.“

30. დადგენილებით დამტკიცებული წესის 44-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 44. მოხსენების შემუშავების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა

1. სამინისტრო ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოების მონაწილეობა მოხსენების პროექტის განხილვის პროცესში.
2. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების პროექტის შესახებ ცალკეულ პირთა მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს განიხილავს სამინისტრო.“

31. დადგენილებით დამტკიცებული წესის 45-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 45. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების თარგმნა და საქართველოს ფარგლებს გარეთ გავრცელება

1. საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების თარგმნას აფხაზურ ენაზე და მის გავრცელებას.

2. საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების თარგმნას ინგლისურ ენაზე და მის გავრცელებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ.“

32. დადგენილებით დამტკიცებული წესის 46-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 46. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნულ მოხსენებაში არსებული ინფორმაციით სარგებლობა სტრატეგიული დაგეგმვისა და გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში

სტრატეგიული დაგეგმვისა და გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში სავალდებულოა გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნულ მოხსენებაში მითითებული ინფორმაციის გათვალისწინება.“

33. დადგენილებით დამტკიცებული წესის VIII და IX თავები ამოღებულ იქნას.

34. დადგენილებით დამტკიცებული წესის 49-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 49. საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა ასახვა გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნულ მოხსენებაში

გარემოს დაცვის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებასთან დაკავშირებული

მონაცემების ასახვა გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნულ მოხსენებაში სავალდებულოა.“

მუხლი 2. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**

განმარტებითი ბარათი
„გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 მაისის N337 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის შემუშავება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2017 წლის 14 დეკემბრის N1620-რს კანონის საფუძველზე, განხორციელდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების რეორგანიზაცია და მათ ბაზაზე შეიქმნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელსაც გადაეცა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი (გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების (გარდა სასარგებლო წიაღისეულისა) მართვის მიმართულებით). ამასთანავე, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი გადაეცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ჩაითვალა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს უფლებამონაცვლედ.

ამასთანავე, გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების მოქმედი სტრუქტურა გასაუმჯობესებელია, რათა ის ზუსტად შეესაბამებოდეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დარგის და გარემოზე ზემოქმედების მქონე სექტორების არსებულ სპეციფიკას, ასევე თანამედროვე მოთხოვნებს. წესის მოქმედ რედაქციაში არ არის ასახული გარემოს დაცვის სფეროს უახლესი პრიორიტეტები, რომელთა წყაროსაც წარმოადგენს საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, მდგრადი განვითარების დღის წესრიგი, კლიმატის ცვლილების შესახებ პარიზის შეთანხმება და სხვა ეროვნული თუ საერთაშორისო ვალდებულებები.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის რეგიონული პროექტის „ერთიანი გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემის პრინციპების და პრაქტიკის განხორციელება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ (ENI SEIS East II) ფარგლებში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2017-2019 წლებში თანამშრომლობდა სლოვაკეთის გარემოს დაცვის სააგენტოსთან გარემოს მდგომარეობის შესახებ რეგულარული ანგარიშების შემუშავების მიმართულებით. სლოვაკეთის გამოცდილების შესაბამისად, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების განახლებული სტრუქტურა, რომელშიც შენარჩუნებულია და 5 კარშია გადანაწილებული ყველა არსებული საკითხი. პროექტის მიხედვით მოხსენების ყველა თავი მოიცავს ქვეთავს „ძირითადი კითხვები და გზავნილები“, რაც მიზნად ისახავს საზოგადოებას მიაწოდოს მოკლე, ზუსტი და შემაჯამებელი ინფორმაცია აღნიშნულ თავში განხილული აქტუალური საკითხების შესახებ.

2014-2017 წლებში ევროინტეგრაციის პროცესის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, თავს „გარემოსდაცვითი პოლიტიკა და დაგეგმვა“ დაემატა ქვეთავი „ევროინტეგრაციის პროცესი“ გარემოს დაცვის სფეროში ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან ჰარმონიზაციის მიმართულებით მიღწეული პროგრესის შეფასების მიზნით. ასევე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, თავს „გარემოსდაცვითი რეგულირება და კონტროლი“ დაემატა „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებასთან“ დაკავშირებული საკითხები.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტის მომზადებისას არ არის გამოყენებული ევროკავშირის სამართლებრივი აქტი.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღებით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ან/და საშემოსავლო ნაწილის ცვლილება არ არის გათვალისწინებული.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღების შედეგად გაუმჯობესდება გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსნების სტრუქტურა და დაუახლოვდება ევროპული ქვეყნების სტანდარტებს, მოხსენების ძირითადი შინაარსი გახდება საზოგადოებისთვის უფრო მარტივად აღსაქმელი.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტის განხორციელების კონკრეტული ვადა განსაზღვრული არ არის.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.